შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2022 წლის წლიური ანგარიში

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის(შემდგომში კოლეჯი) 2022 წლის სამუშაოს განხორციელებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის რომ კოლეჯმა მოიპოვა დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) - პროგრამის განხორციელების უფლება.

კოლეჯის საქმიანობიდან რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

1. კოლეჯის პროგრამები:

კოლეჯში მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საექთნო განათლება, ფარმაცია (სააფთიაქო) და ვეტერინარია. კოლეჯში პროგრამების თვალსაზრისით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და კოლეჯის მიერ მოხდა დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი)დამატება.

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთა არეალის გაფართოვების მიზნითმოხდა პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან შეხვედრა და გაფორმდა მემორანდუმები და ხელშეკრულებები (სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, შპს ნაჭარმაგევი). განხორციელდა ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის 2020 წელს ჩარიცხულიპროფესიული სტუდენტების საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტისვერიფიკაცია. 2022 წლის განმავლობაში ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა ტერენინგებში (ვეტერინარიის მნიშვნელობა და თანამედროვე მოთხოვნები ვეტერინარების სწავლებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, პერსონალურ მონაცემთა დაცვა სსსმ და შშმ პირთა სასწავლო გარემო და მიდგომები,ტრენინგი შემდეგთემებზე: ცხოველთა ჯიშები და მათი შერჩევა; ცხოველთა განაყოფიერებამდე პროცესები დაცხოველთა განაყოფიერება (eye breed-ით,) რაზედაც მიღებული მაქვს სერთიფიკატები. 2022 წლის 17 ოქტომბერს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გადაეცა მადლობის სიგელი ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.2022 წელს პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ვეტერინარიის საგანმანათლებლოპროგრამისთვის ექოსკოპიის აპარატი, ახურების და მაკეობის დეტექტორი, მასტიტის დეტექტორი, ვეტერინარული იარაღების ნაკრები. 2022 წლის 25-29 სექტემბერს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანოზაციის ვეტერინარი პარაფროფესიონალების საგანმანათლებლო პროგრამისმიმოხილვის შეფასების ვორკშოპში. 2022წელს მოხდა მოდულებზე ინფექციის კონტროლი 1 და პათოლოგიაზე პროფესიული განათლების მასწავლებლის აყანა ღია კონკურსის წესით. 2022წელს განახლდა საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარიის სასწავლო რესურსი. დამატებული იქნა ახალი სახელმძღვანელოები. 2022 წელს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილება. განხორციელდა ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამისთვის არსებული ინვენტარის ინვენტარიზაცია.

ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე აღსანიშნავია, რომ შემუშავდა და დამტკიცდა კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტების ფორმები, რის მიხედვითაც ხორციელდება სასწალო პროცესი. პროგრამისთვის მოხდა სასწავლო გრაფიკის ცვლილებები.პროგრამის განხორციელების მდგრადობის კუთხითპრაქტიკული სამოშაოების განხორციელება მოდულების მიხედვით გადანაწილდა 110 და 111C გარემოში. დაზუსტდა და გადაეცა საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი ბიბლიოთეკარს.2022წელს განახლდასაგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) სასწავლო რესურსი.დამატებული იქნაახალი სახელმძღვანელოები და ახალი ბრძანებები, რომელსაც სასწავლო პროცესი ითვალისწინებს. სასწავლო გრაფიკის შედგენისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების კვირეული დატვირტვა და სასწავლო გარემოს შესაბამისობა. მატერიალური რესურსის მონიტორგის სწორად განხორციელებისათვის მოხდა ინვენტარიზაცია, აღრიცხულის არსებულირესურსი. მოდულის განმავლობაში დახარჯული მასალა ნედლეული, მოდულებისდამთავრების შემდეგ აისახება ანგარიშის ფორმაში და შეფასების ინსტრუმენტებთან ერთადბარდება სასწავლო პროცესის მენეჯერს. საჭიროების დროს ხდება პერიოდული შევსებაგახარჯული მასალა-ნედლეულის. რეგულარულად დხებოდა დამტკიცებული პროგრამების გაანალიზება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად მოხდა მოდულებისთვის საჭირო აღჭურვილობის, მასალა-ნედლეულისგანხილვა-გაანალიზება. ჩაიტვირთვასასწავლო გარემოს კომპიუტერებში სლაიდები, პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციისგავლით და მოთხოვნით. ჩატარდა ტრენინგები და შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.2022 წლის განმავლობაში პროგრამის ხელმზღვანელმა მონაწილება მიიღო ტერენინგებში (ეფექტურისწავლების მეთოდები,რეკომენდაციები და განმარტებები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით).ფარმაცია(სააფთიაქო) პროგრამის განხორციელების პროცესში პრაქტიკა გაიარეს პროფესიულმა სტუდენტებმა პსპ-ეს, გეფა და ბარბარეს გორის სააფთიაქო ქსელში. განხორციელდა შევხვედრები პრაქტიკის განმახორციელებელ, პარტნიორთა წარმომადგენლებთან.ადამიანური რესურსები და კარიერული წინსვლის და განვითარების მიზნით პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგში დამასწავლებელთა დარგობრივ შეხვედრაზე. 2022 წლის 18 ოქტომბერს პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის ჩამოყალიბებაში ჯანდაცვის მიმართულებით. ასევე 23 დეკემბერს დაესწრო საქართველოსბიზნესისაკადემია SBA პსპ ფარმასთან თანამშრომლობით გამართულ შეხვედრას, სადაც განხილული იყო მომზადება- გადამზადების პროგრამები.დარგობრივი განვითარების კუთხით შეხვედრა გაიმართა გამოცდილ ფარმაცევტ მაია თომაშვილთან, რომელმაც ისაუბრა დარგის სიახლეებზე. სწავლების ინოვაციური მეთოდების ხელშეწყობის მიზნით მონაწილეობა მივიღეთ ამერიკის საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ტრნინგების ციკლში.ჩატარდა გასვლითი მეცადინეობები გორის შემოგარენში, გორის ციხეზე, ასევე გარდენიაში.2022 წლის განმავლობაში პროფესიულმა სტუდენტებმა, პროფსიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ჩაატარეს კონფერენციები: ,,დე ფრთები შეესახას'' და ,,ახალგაზრდობა მომავალ დღეთა''. განხორციელდა ფარმაცია(სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამისთვის არსებული ინვენტარის ინვენტარიზაცია110, 111 და103 კაბინეტეში არსებულ გარემოზე მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში გადაეგზავნასასწავლო პროცესის მენეჯერს.

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე აღსანიშნავია, რომჩატარდა საბიბლიოთკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგი, მოხდა საექთნო მიმართულების

ახალი სახელმძღვანელოების მოძიება და განახლდა ბიბლიოთეკის ფონდის. შეძენილი იქნა მოდულით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები. პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში და სისტემატიურად ახორციელებდა მონიტორინგს შეფასების ინსტრუმენტების დაკალენდარული გეგმების სასწავლო პროცესთან ადაპტირებაში. ასევე ახდენდა შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობლივ ვალიდაციას. პროგრამის ხელმძღვანელი ახდენდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთადკონსულტაციებს როგორც ჯგუფურად ასევეინდივიდუალურად. ასევე მოდულის სწავლების დაწყებამდე 1 თვით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ხდებოდა მოდულის შინაარსის, სტრუქტურის,კალენდარული გეგმის, სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების, ასევე შეფასების მეთოდებისა დამიმართულებების განხილვა.მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ს.ი.პ. გ.აბრამიშვილის სახელობისსაქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალის პრატიკის ინსტრუქტორების ტრენინგებსპრაქტიკული მოდულების ადაპტირებისათვის. ასევე ს.ი.პ. გ.აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსჰოსპიტალის ექთნებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე „საექთნო საქმის განვითარებისსტრატეგიის გაცნობა“ და ექთნის როლი მედიცინის განვითარების სფეროში. ჩატარდა შეხვედრა პროგრამის განმახორციელებლებთან, სადაც იმსჯელესპროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების განვითარებაზე. მოხდა შეხვედრა შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელოის ცენტრის ექთნებთან და მოდულების კლინიკური პრაქტიკა- ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია დაშემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია პრაქტიკისინსტრუქტორებს და ჩაუტარდათ ტრენინგები. ასევე პრაქტიკული მოდულების ადაპტირებისათვისშპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელოის ცენტრის ექთნებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიის გაცნობა“ და ექთნის როლიმედიცინის განვითარების სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო ამერიკის საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის ფარგლებშიჩატარებულ ტრენინგების ციკლში. განხორციელდა შეხვედრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნოგანათლების განმახორციელებლებთან ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლებს პროგრამის ხელმძღვანელმა გააცნო შეფასების ინსტრუმენტებში, კალენდარულ,გეგმაში და პროფესიული განათლების მასწავლებლისსაანგარიშო ფორმებში.პრაქტიკოსი ექთნის და საექთნო განათლების პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს პროგრამის ხელმძღვანელი სისტემატიურად აწვდიდა ინფორმაციას სხვადასხვა კლინიკების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ რათა ხელი შეეწყოს მათი დასაქმების პროცესს. განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების 2020 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია. პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღოპროფესიული უნარების სააგენტო Skills AgencyGeorgia-ს ორგანიზებით, ჩატარებულ ტრენინგში თემაზე სწავლა-სწავლების თანამედროვემიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება.

დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად პროგრამისგანმახორციელებელ პირებთან ჩატარდა ტრენინგები,რომელიცემსახურებოდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებას, კალენდარული გეგმისშემუშავებას, გაკვეთილის დაგეგმვას. კოლეჯისა და აშშ-ს საელჩოს ალუმნი საგრანტოპროგრამის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგშიაქტიური სწავლების მეთოდები, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება დაპროფესიული პროგრამების განვითარება. პირველად ჩატარდა დენტალურისაქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) აპლიკანტებისთვის მოტივაციურიგასაუბრება რომელიც, წარმატებით გაიარა 15 აპლიკანტმა. კოლეჯსა და ა(ა)იპ ჯანდაცვის განვითარებისა და უფლებათადაცვის ლიგის მემორანდუმის

საფუძველზე ლიგის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე წარდგენილ იქნა კოლეჯის პროგრამა, დამსაქმებლებს წარედგინა კოლეჯისპროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. შეხვედრაზე კლინიკებისხელმძღვანელებმა და სტომატოლოგებმა გამოთქვეს სურვილი ითანამშრომლონკოლეჯთან და დაასაქმონ პროფესიული სტუდენტები.

2. ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯის ხარისხის მენეჯერი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე დასაგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე. ზრუნავს კოლეჯისგანვითარებაზე.

ხარისხის მენეჯერის ზედამხედველობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

კოლეჯმა 2022 წელს დაიმატა შრომის ბაზრის მოთხოვნებისგათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დენტალური საქმის ასისტირება(სტომატოლოგის ასისტენტი). პროგრამა საქართველოში ხორციელდება პირველად დაემსახურება კვალიფიციური კადრების მომზადებას სტომატოლოგიური კაბინეტებისა დალაბორატორიებისათვის. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის დაშეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად მოხდა მონაცემთა შეგროვება 2021 წლისკოლეჯის საქმიანობის შეფასების კუთხით, ასევე მოხდა 2021წლის სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშის მომზადება.სასწავლო პროცესის საქმიანობის მუდმივი განვითარების მიზნით კოლეჯმა 2022 წლის მაისიდან მიიღო გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის სპეციალისტის საშტატო ერთეულის დამატების მიზნით. ხარისხის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ გადამზადდასასწავლო პროცესის სპეციალისტი, რამაც მნიშველოვნად გააუმჯობესა პროფესიულსტუდენტთა მომსახურების საკითხი.პროექტის „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმებისგაძლიერების (LINKS)“ ფარგლებში, ქალაქ ბორჯომში ხარისხის მენეჯერმა მონაწილეობა მიღო გასვლითტრენინგებში შემდეგი მიმართულებებით: საპროექტო განაცხადების მომზადება,პროფესიული სწავლების საერთაშორისო პრაქტიკა და მარკეტინგული სტრატეგიისგანხორციელება.პროექტის (LINKS) „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა დაპლატფორმების გაძლიერება“ ფარგლებში „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ინიციატივით პროფესიულ სასწავლებლებს შორის ჰორიზონტალური კავშირებისგაძლიერების და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხარისხის მენეჯერი დადირექტორის მოადგილე ეწვივნენ გურიისა და აჭარის პროფესიულ სასწავლებლებს: კოლეჯი „ჰორიზონტი“, კოლეჯი „ახალი ტალღა“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაოაკადემია.სურსათის ეროვნული სააგენტო დაცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორანიზაცია “WOAH” (წარსულში OIE)წარმომადგენლობით გაიმართა სემინარი, რომელზეც მოხდა საქართველოში არსებულიპროფესიული სასწავლებლების სასწავლო სისტემის შედარება “WOAH”-სსტანდარტებთან, მათი სამომავლო გაუმჯობესებისა და დაახლოების მიზნით, სადაც ხარისხისმენეჯერმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარიის ხელმძღვანელმა მიიღეს სტანდარტების შედარების პროცესში მონაწილეობა.პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა ხარისხისუზრუნველყოფის უმთავრესი ამოცანაა, რის გამოცხარისხის მენეჯერის მიერ დაიგემა და ჩატარდა საჭიროებებიდან გამომდინარე არაერთი ღონისძიება, როგორიცაა:კალენდარული გეგმის შედგენა, შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა განვითარება, ახალპროფესიულ განათლების მასწავლებელთა გადამზადება პროფესიული სწავლებისა და შეფასებისსისტემის გაცნობა. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის დაშეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდა 2022 წლის სამოქმედო გეგმისშუალედური შეფასება, რომლის გაანალიზების შედეგადმომზადდაგაუმჯობესების გეგმა,რომელიც წარმატებით შესრულდა.2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდა გამოკითხვებისმონაცემების ანალიზის შეგროვება. ასევე, ჩატარდა კვლევები დაანგარიშები. ჩატარდა არაერთი ვერიფიკაციის პროცესი. 2022 წლისსამოქმედო გეგმის თანახმად თითოეულ პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგარამაზე ჩატარდა ორივერიფიკაცია და გაიცა რეკომენდაციები. გამოვლინდა შედეგები რამაც ასახვა ჰპოვაშეფასების ინსტრუმენტის დახვეწისა და განვითარების მიმართულებით, დაიხვეწაპროფესიული განათლების მასწავლებელთა საანგარიში ფორმა სადაც მკაფიოდ გამოიყო განმეორებით გამოცდაზეგასული პროფესიული სტუდენტების გრაფა.2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად მოხდა საბიბლიოთეკო დასასწავლო რესურსის მონიტორინგი. პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად გადაიხედა და განახლდა ბიბლიოთეკისსასწავლო რესურსი.სისტემატიურად ხორციელდება ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით კოლეჯისძირითადი და დამხმარე პროცესების შემოწმება. განხორციელდასიმულაციური ავტორიზაცია სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა კოლეჯში სამომავლოდგანსახორციელებელი მიმართულებები. გაიწერა გაუმჯობესების გეგმა.შემუშავდა საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი, რამაც გაადვილაპროფესიული განათლების მასწავლებელთათვის დაგეგმონ და განახორციელონსაგაკვეთილო პროცესი მოთხოვნილი შეფასებიდან გამომდინარე.განხორციელდა სასწავლო მატერიალური რესურსისმონიტორინგი. შეფასდა სასწავლო გარემოში ჩასატარებელი მოდულებისშესაბამისად.ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებლის ჩართულობა პრაქტიკული უნარ ჩვევბების გამომუშავების პროცესში. ყოველკვირეულად ხდებოდა სასწავლო განრიგის ცხრილების შექმნა/ხელმისაწვდომობას ყველასათვის. ხორციელდებოდა სასწავლო საგაკვეთილო განრიგის მონოტორინგი და კონტროლი. ხდებოდა სასწავლო გეგმებთან თანხვედრა და მეცადინეობის განრიგის დაცვა, სასწავლო პროცესის გეგმის/გეგმების შესაბამისად. პრმანენტულად ხდებოდა სასწავლო პრცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელ უზრუნველყოფას. ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის რეგულაციას.

3. პერსონალი

2022 წლის მანძილზე კოლეჯის თანამშრომლებმა გაიარეს არაერთი ტრენინგი, კერძოდ, 2022 წლის 27 იანვარს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ექიმმა - მარინე ეგნატაშვილმა ჩაატარა ტრენინგი კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლების, პროფესიული განათლებისმასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისათვის, სადაც ისაუბრა პირველადიგადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებზე.2022 წლის 15 თებერვალს დარგის სპეციალისტმა - ლაშა ავალიანმა ჩაატარა ონლაინ ტრენინგი ამავე პროგრამაზე დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სადაც დაწვრილებით ისაუბრა ვეტერინარიის მნიშვნელობაზე და თანამედროვე მოთხოვნებზევეტერინარების სწავლებისათვის. პროფესიული განათლების 8 მასწავლებელს გადაეცასახელობითი სერტიფიკატი.2022 წლის 22 თებერვლიდან 29 მარტის ჩათვლით კოლეჯში მიმდინარეობდა ტრენინგიპროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ინტერნეტის გამოყენებაზე და Google სერვისებზე. ტრენინგი ჩაატარა კოლეჯის ინფორმაციული წიგნიერების პროფესიულიგანათლების მასწავლებელმა - იამზე გოჩაშვილმა. პროფესიული განათლების 17 მასწავლებელს გადაეცა სახელობითი სერტიფიკატი. 2022 წლის 15 მარტს დარგის სპეციალისტმა, „ავერსი ფარმას“ - სააფთიაქო ქსელის ერთ-ერთმა მენეჯერმა - მაია თომაშვილმა ჩაატარა ონლაინ ტრენინგი ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დარგის მასწავლებლებისთვის ფარმაცევტულ სექტორში არსებულ სიახლეებსა და გამოწვევებზე. პროფესიული განათლების13 მასწავლებელს გადაეცა სახელობითი სერტიფიკატი.კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტმა - ფატიმა ფარნიაშვილმა 2022 წლის 16 მარტს ჩაატარა ონლაინ ტრენინგი სსმ და შშმ პირთა სასწავლო გარემოსა დამიდგომებზე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. პროფესიული განათლების 13 მასწავლებელს გადაეცა სახელობითი სერტიფიკატი. 2022 წლის 30 მარტს კოლეჯის

მოწვეულმა ტრენერმა თამარ რემიშვილმა ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩაატარა ონლაინ ტრენინგი, რომელიც ეხებოდა პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. ადმინისტრაციის 14 თანამშრომელს გადაეცასახელობითი სერტიფიკატი. 12 მაისს ექთნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის 20 ინსტრუქტორს გადაეცა სახელობითისერტიფიკატი კოლეჯის სტუდენტებისათვის პროფესიული უნარების განვითარებაშიშეტანილი წვლილისათვის.2022 წლის 17 მაისს, საქართველოს ეპიდემიოლოგთა ასოციაციის წევრმა, ეპიდემიოლოგმა -ნინო ბლიაძემ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისგანმახორციელებელი დარგის სპეციალისტებისათვის ჩაატარა ონლაინ ტრენინგი ჯანდაცვისმსოფლიო ორგანიზაციის (WHO) უახლეს მიდგომებსა და ზოგად რეკომენდაციებზეთანამედროვე მედიცინაში. პროფესიული განათლების 7 მასწავლებელს გადაეცა სახელობითისერტიფიკატი.2022 წლის 25 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალისტმა - მაია დემეტრაშვილმაკოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩაატარა ონლაინ ტრენინგი პერსონალურმონაცემთა დაცვაზე. ადმინისტრაციის 12 თანამშრომელს გადაეცა სახელობითი სერტიფიაკტი.2022 წლის 10 ივნისისდან 16 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა აშშ-ს საელჩოს მიერდაფინანსებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც შპს საზოგადოებრივი კოელჯი ამაგის 19მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი შემდეგ მოდულებში: აქტიური სწავლების მეთოდები,კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. ტრენინგს უძღვებოდნენტრენერები: თამარ რემიშვილი და მაია თოიძე. ტრენინგის ყველა მონაწილეს გადაეცასახელობითი სერტიფიკატი.პროექტის „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერების(LINKS)“ ფარგლებში, 3-7 ივნისის პერიოდში პროფესიული განათლების განვითარებისხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა გასვლითი ტრენინგები შემდეგიმიმართულებებით: საპროექტო განაცხადების მომზადება, პროფესიული სწავლებისსაერთაშორისო პრაქტიკა და მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება. ტრენინგსესწრებოდნენ კოლეჯის დირექტორის მოადგილე - სოფიო სუხიშვილი, ხარისხის მენეჯერი -ნინო დვალი და პერსონალის მართვის მენეჯერი - ანა ქოთოლაშვილი.2022 წლის 9 სექტემბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა პროფესიული განათლებისმასწავლებელთა ტრენინგი (სულ 4 შეხვედრა, 6 საათი), რომლის ძირითადი თემაც იყოშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება. ტრენინგი, რომელიც ჩაატარა კოლეჯის ხარისხისმენეჯერმა - ნინო დვალმა, განკუთვნილი იყო ბოლო პეროდში მიღებული პროფესიულიგანათლების მასწავლებლებისათვის. პროფესიული განათლების 14 მასწავლებელს გადაეცასახელობითი სერტიფიკატი. ტრენინგის დასრულების შემდეგ ჩატარდა მონაწილეთაკმაყოფილების კვლევა და გამოიკვეთა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელბს სურთგადამზადება შემდეგ საკითხებშიც: პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურითავისებურებანი, პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში, სასწავლოპროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები, კომპეტენციებზე დაფუძნებულიშეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, პროფესიული განათლებისმასწავლებლების პროფესიული განვითარება.2022 წლის 20 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით კოლეჯის შრომის უსაფრთხოებისსპეციალსტმა - ვლადიმერ ახობაძემ ჩაატარა ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების შესახებკოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.ინსტრუქტაჟი გაიარა ადმინისტრაციი 15 თანამშრომელმა და პროფესიული განათლების 28მასწავლებელმა.2022 წლის 31 ოქტომბერს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ვეტერინარიის პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ზაქარია გინტურს გადაეცა მადლობის სიგელი,ვინაიდან მის მიერ მოგებული იქნა Land O’Lakes Venture37-ის საგრანტო კონკურსი, რისშედეგადაც კოლეჯს თანადაფინანსების ფარგლებში გადაეცა ცხოველთა ექოსკოპიის აპარატი.წელიწადში 2 - ჯერ, 2022 წლის 16-23 მაისს და 15-20 დეკემბერს ჩატარდა როგორცადმინისტრაციული პერსონალის ასევე პროფესიული განათლების

მასწავლებელთაკმაყოფილების კვლევა ადმინისტრაციულ საკითხებში. 2022 წლის 21 დეკემბერს ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის დარგის პროფესიულიგანათლების მასწავლებელბისატრვის დარგის სპეციალისტმა, სერტიფიცირებულმა ტრენერმა -გვანცა ბეჟანიშვილმა ჩაატარა ტრენინგი შემდეგ ტემებზე: ცხოველთა ჯიშები და მათი შერჩევა,ცხოველთა განაყოფიერებამდე პროცესები და ცხოველთა განაყოფიერება. პროფესიულიგანათლების 7 მასწავლებელს გადაეცა სახელობითი სერტიფიკატი.2022 წლის 21-22 დეკემბერს ჩატარდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის (მათშორის პროფესიული განათლების მასწავლებლების) ყოველწლიური საქმიანობის შეფასება.2022 წელს განთავისუფლდა პროფესიული განათლების 6 მასწავლებელი და ადმინისტრაციის10 თანამშრომელი.2022 წელს დაინიშნა პროფესიული განათლების 13 მასწავლებელი და ადმინისტრაციის 8თანამშრომელი.წლის მანძილზე ჩატარდა მუდმივმოქმედი შესარჩევი კომისიის სხდომები.

4. სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტულ სერვისებს. სტუდენტური რესვისები უზრუნველყოფილი იყო მთელი წლის განმავლობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით, რისთვისაც კოლეჯში შექმნილია სარგებლობის წესები, რომლითაც პროფესიული სტუდენტებისთვის გარანტირებულია ისარგებლონ კოლეჯის სასწავლო რესურსით სარგებლობის საშუალებებით. ჩატარდა არაერთი აქტივობასადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნენ სასწავლო პროცესისთვის სავალდებულო წესებს, უსაფრთხოების წესებს და საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. მყარდებოდა მჭიდრო კავშირი პროფესიულ სტუდენტებთან მეილების, სოც. ქსელებისა და სატელეფონო კავშირების საშუალებით, ინფორმაციის მიწოდების მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით. ხდებოდა პროფესიული სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრა იურისტთან ერთად, სწავლის შედეგის შეფასების სისტემის მარეგულირებლის წესის გაცნობის მიზნით.სასწავლო გეგმის შესაბამისად,მოხდა პროფესიული სტუდენტების წარდგენა პრაქტიკის ობიექტზე.სასწავლო გეგმის შესაბამისად ხდებოდა მოდულების დაწყება დამთავრების კონტროლი. სასწავლო გეგმების შესაბამისად მიმდინარეობდა შეფასების ინსტრუმენტების ტექნიკური ვალიდაცია. კონტროლდებოდა მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მდგომარეობა, მათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო პროცესის მენეჯერი მჭიდრო კავშირსამყარებდა კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტურ თვითმმართველობასთან და ერთობლივად არაერთი ღონისძიების განხორციელება მოხერხდა (ფარმაცევტთა საერთაშორისო დღე, ჰუმანიტარული აქცია, ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, 2022 წლის ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტების დახვედრა, ლიტერატურული საღამო, საახალწლო ღონისძიება). ჩატარდა ორი შემეცნებითი ექსკურსია. მოხდა FinExCoop Georgia - ს პროქტის ფარგლებში ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის ტრენინგის ორგანიზება შემდეგ თემებზე: ცხოველთა კვება და კვების რაციონის შემუშავება, ცხოველთა სელექცია და ხელოვნური განაყოფიერება. პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ 2022 წლის განმავლობაში ოთხი პროფესიული სტუდენტი იმყოფებოდა დმანისის მუნიციპალიტეტში შვეიცარულმეცხოველეობის ფერმაში და რძის გადამამუშავებელ საწარმოში სტაჟირებაზე რაზედაცმიღებული აქვთ სერთიფიკატები.2022 წლის განმავლობაში ვეტერინარისს საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულისტუდენტებისთვის მოეწყო შემეცნებითი ექსკურსიები,კონტაქტურ ზოპარკში,ქარელისმუნიციპილატეტში მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმებში,საკვებ გადამამუშავებელსაწარმოში,შპს უდაბნოს მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმებში,შპსჩირინაში(მეფრინველეობის ფაბრიკა).2022 წლის განმავლობაში ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულისტუდენტებისთვის მოეწყო

შემეცნებითი ექსკურსიები,ავერსი- რაციონალის ქარანაში დაბოტანიკურ ბაღში. ბოტანიკურ ბაღში პროფესიული სტუდენტები გაეცვნენ და დაათვალიერესსამკურნალო მცენარები, ავერსი რაციონალის ქარხანაში დაათვალიერეს და გაეცვნენქარხნული წარმოების სამკურნალო საშუალებების მომზადების ტექნილოგიის სტადიებსთანამედროვე სტანდარტების დონეზე. ამავ დროულად შეხვდნენ დამსაქმებლებს.კოლეჯ განთიადის სტუდენთებთან ჩვენმა სტუდენტება მიიღეს სპორტულ ღონისძიებაშიმონაწილეობა. ფარმაცევტთა საერთაშორისო დღესთანდაკავშირებით მოეწყო საგანმანათლებლო ღონისძიება,ფარმაციის განვითარების კუთხითმსოფლიოში და საქართველოში. სტუდენტურ თვითმართველობასთან ერთად, პროფესიულმა სტუდენტებმა მიიღესჰუმანიტარულ აქციაში მონაწილეობა, შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკურიჯანმრთელობისცენეტრის პაციენტებისათვის.მსოფლიოში 5 მაისიაღინიშნებაროგორცხელისჰიგიენისსაერთაშორისოდღე.დაიბანეხელი - გადაარჩინესიცოცხლეამასთან დაკავშირბით მოდული ინფექციის კონტროლის საფუძვლები პროფესიული განათლების მასწავლებელი ხათუნა მიქელაძესთან და პროგრამის ხელმზღვანელმა ჩაატარეს ღონისძიება ხელის ჰიგიენის მნიშვნელობა დახელის დაბანის 5 მომენტის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისთვის სადაც პროფესიულისტუდენტებმა წარმოადგინეს ნაზოკომური ინფექციების გავრცელების თავიდან აცილებისწესები. ექთნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება ექთნის როლი საექთნო საქმეში დაკომუნიკაციის მნიშვნელობა პაციენტთან ურთიერთობისას. ღონისძიებაში პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები. პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა არაერთი შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიება. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება“ შპს ორიენტირთან და არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „ზამთრის სკოლა: ტრანსფერული უნარების განვითარება, დასაქმების ხელშესაწყობად”. პროექტში მონაწილეობა მიიღეს პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებსაც ტრენინგები ჩაუტარდათ როგორც გორში, ასევე თბილისში. ტრენინგის შემდეგ პროფესიული სტუდენტების მკიერ ჩატარდა არაერთი აქტივობა, როგორც კოლეჯში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან ასევე სკოლებშიც.

5. დოკუმენტებზე მუშაობა

დოკუმენტბრუნვაზე სამუშაოები მიმართული იყო კოლეჯში შემოსული და კოლეჯიდან გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, შემოსული დოკუმენტაციის დროული განხილვის, განაწილების, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადებში მათი გაფორმებისა და შესრულების რეგულირების მენეჯმენტის სრულყოფისაკენ, რაც თავის მხრივ, კოლეჯის სხვადასხვა თანამშრომლების გამართული მუშაობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.2022 წლის განმავლობაში მომზადდა ყველა საჭირო ბრძანების პროექტი, მათშორის პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის და პროფესიული სტუდენტების სტატუსისშეჩერების და შეწყვეტის ბრძანების პროექტები.2022 წელს კოლეჯში ჩაირიცხა 103 პროფესიული სტუდენტი: აქედან,1.საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-28 პროფესიულისტუდენტი (ბრძანება N00009046 - 10.10.2022 წელი);2.ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-40 პროფესიულისტუდენტი (ბრძანება N 00009063-10.10.2022 წელი);3. ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე-20 პროფესიული სტუდენტი(ბრძანება N 0009039 -10.10.2022 წელი);4.დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი)-15 პროფესიული სტუდენტი.(N00009065-10.10.2022წელი და N00010570-07.11.2022წელი).პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 13 პროფესიულ სტუდენტს.

სტუდენტის სტატუსი შეუწყდა პირადი განცხადების საფუძველზე 2 პროფესიულსტუდენტს,ხოლო შეჩერებიდან 3 წლის გასვლის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 16პროფესიულ სტუდენტს.2022 წელს კოლეჯში მობილობით გადმოვიდა 3 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მობილობით გადავიდა 1 პროფესიული სტუდენტი.მოხდა ახლადმიღებული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებისსრულყოფა და დაიდო მათთან ხეშეკრულებები, დაინომრა და გატარდა რეგისტრაციაში.წლის განმავლობაში აღირიცხა შემოსული და გასული კორესპოდენცია. მოხდა წლიურიბრძანებების რეესტრის წარმოება.2022 წელს მოხდა ელექტრონულ სისტემაზე- ე თანამშრომლის eflow_ზ დამატება. აღნიშნულის გამო მოხდა შესაბამისი სწავლების განხორციელება, მითითებების მიცემა დაგადამზადება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eflow-ში.

6. სხვადასხვა აქტივობა

წლის განმავლობაში ეფექტურად ხდებოდა გაწერილი წლიური ბიუჯეტის შესრულება.შედეგად კოლეჯში ინფრასტრუქტურის ნაწილში განახლდა აუდიტორიები და დაემატა საჭირო ინვენტარი/მასალები. ასევე წინასწარ გაიწერადა დაიგეგმა მომავალი წლისთვის დასამატებელი ნივთები.

„საქართველოშიბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცებაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998წლის 16 თებრვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად,საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამის ვადებში მოახდინა კოლეჯის ბალანსზე არსებული,ძირითადი აქტივების დამატერიალური ფასეულობების დალუქვა,ეტაპობრივად გაიხსნაკომისიის მიერ სრულად მოხდა სასწავლო ოთახებში,კაბინეტებში,სათავსოებში,მატერიალური ფასეულობების აღწერა, გაიმართა კომისიის სხდომა,შედეგების დამტკიცების შესახებ.

სასწავლო მიზნებისთვის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა განათებისსისტემის შეცლა კოლეჯის შენობაში.განახლდა საევაკუაციო ნიშნები და განათებები სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისად.სარეკრეაციო ზონაში მოხდა ინფრასტრუქტურის განახლება. განახლდა გარე ბანერი სტანდარტის შესაბამისად და განთავსდა გერბი კოლეჯისშენობაზე.მოეწყო სასწავლო ლაბორატორიებში ცეცხლმედეგი ინვენტარი.მოხდა ფარდა- ჟალუზების განახლება.პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად,მოხდა მასალა-ნედლეულის მოძიება და უზრუნველყოფა.IT მენეჯერის მიერ შეფასდა კოლეჯის კომპიუტერული ბაზის, ტექნიკის, ქსელის დატექნიკური საშუალებები, მიმდინარე საჭიროებები. კოლეჯში შემენილ იქნაგანვითარების გეგმის შესაბამისად კომპიუტერული ტექნიკა და ასევე მოეწყო ნასი (სერვერი). გამოვლინდა ინტერნეტის მიწოდების (ძირითადად არასაკაბელო) ხარვეზები და დაისახა თანმიმდევრული გეგმა ხარვეზების აღმოფხვრისთვის. მოხდა კომპიუტერული ლაბორატორიის კომპიუტერების ოპერაციული სისტემით უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებზე საკაბელო ინტერნეტის ქსელის გაუმართობის გასწორება. მოხდა უკაბელო ინტერნეტის რამდენიმე ჰაბის გადანაცვლება, რათა გაგვეზარდა დაფარვის ფართობი. ამ პერიოდში იყო ინტერნეტის მიწოდების ხარვეზი. ჩავატარეთ ინტერნეტ ქსელის სრული მონიტორინგი. ქსელის ნაწილობრივ გათიშვას იწვევდა მეორე სართულის სასწავლო აუდიტორიაში ჰაბის დამოკლება. ხარვეზი გასწორებულია.ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კაბინეტი აღიჭურვა კომპიუტერითა და როგორც უსადენო, ასევე სადენიანი ინტერნეტით.შევიძინეთ 4 ახალი კომპიუტერი, რომლებიც დავამატეთ აუდიტორიებში. უზრუნველვყავით პროგრამული და ტექნიკური გამართვა და სასწავლო პროცესისათვის მომზადება. ასევე შევიძინეთ 6 კომპიუტერი რომლებიც კომპიუტერულ ლაბორატორიას დაემატა. გავმართეთ პროგრამულად. ჩავრთეთ ინტერნეტის ლოკალურ ქსელში, რომელიც კომპიუტერულ

ლაბორატორიაშია გამართული.კომპიუტერულ ლაბორატორიაში ინტერნეტის გაყვანილობა შევცვალეთ (დავამატეთ რამდენიმე ჰაბი, რაც ინტერნეტის მიწოდებას გააუმჯობესებს).

ბიბლიოთეკაში მივიღეთ 24 ახალი წიგნი, რომელიც გატარებულია ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში.საბიბლიოთეკო ფონდი სისტემურად ივსებოდა და ახლებოდა წლის განმავლობაში. დაინტერესებულ პირებს: სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეფეკტურად ემსახურებოდა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკიდან გაიცა 80 წიგნი პროფესიულ სტუდეტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე. პროფესიულ სტუდენტებს ვეხმარებოდით სასწავლო რესურსის ასლის გადაღებასა და ამობეჭდაში. ყველა პროგრამის ელ.წიგნები მოდულების შესაბამისად ატვირთულია „classroom-ში“. პროფესიულ სტუდენტებს გავაცანით საბიბლოთეკო რესურსები და მათი სარგებლობის წესები.ბიბლიოთეკაში მომხმარებლისათვის სრულყოფილი მომსახურების გასაწევად ზედამხედველობდი სპეციალურ სამკითხველო დარბაზს.

პერსონალის წახალისების მიზნით მოეწყო ექსკურსია რომელიც ასევე მოიცავდა სხვა კოლეჯის გამოცდილების გაზიარების მიზნით მათთან ვიზიტს.

PR-ის მიმართულებითდამზადდა ახალი პროფესიული პროგრამისთვის (დენტალური ასისტირება) სარეკლამო ვიდეო რგოლი რომელიც განტავსდა სოციალურ ქსელებში დამზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ფლაერები, სადაც აღწერილია კოლეჯის პროფესიული პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დამზადდა კოლეჯი ამაგის საიმიჯო პინები (ბეიჯები) თანამშრომლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის სხვადასხვა ღონისძიებებზე, ტრენინგებზე გამოსაყენებლად. დაიხვეწა პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის იერსახე. მიმდინარეობდა მუშაობა სტუდენტურ სერვისებზე და შეიქმნა პრეზეტნაცია "სტუდენტური სერვისები" პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია: ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე,პროფორიენტაციაზე, კარიერულ მხარდაჭერაზე, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე,ბიბლიოთეკაზე, სასწავლო გარემოზე, სტუდენტურ ორგანიზაციებსა და ღონისძიებებზე.განხორციელდა ჩატარებული ღონისძიების ვიზუალური მასალის და ვორდინგისდამუშავება სოციალური ქსელისთვის და შემდეგ მათი განთავსება Instagram და Facebookგვერდებზე. არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით გაიმართა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა(ვებინარი) სადაც მოხდა სკოლის მოსწავლეებთან ჩართვა რომლებიც დაინტერესებულებიიყვნენ პროფესიული პროგრამებით.ასევე სხვადასხვა ადგილებში პროფესიული პროგრამით დაინტერესებულ პირთათვის

დარიგდა საინფორმაციო ფლაერები/ლიფლეტები სადაც მოცემულია არსებულიპროფესიული პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია.განხორციელდა სხვადასხვა დამსაქმებლებთან პროფესიული სტუდენტების შეხვედრა, რომელიცგაიმართა კოლეჯში და ასევე პოტენციური დამსაქმებლების ტერიტორიაზე.მათ შორის: სტუდენტები იმყოფებოდნენ კომპანია შპს ჩირინა-ს კომლექსში.ასევე „Hotels & Preference Hualing Tbilisi“-ში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისსოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტი„ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში -SQIL“-ის მიერდაორგანიზებულსავეტერინარო მედიცინისა და ვეტერინარი ტექნიკოსი სტუდენტების დადამსაქმებლებისათვის საინფორმაციო გაცნობითღონისძიება სადაცპროგრამავეტერინარის პროფესიულ სტუდენტებს მიეცათ საშუალება, ადგილზე შეხვედროდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს კერძო კომპანიებიდან. დასაქმების კუთხით ხდებოდა სხვადასხვა კომპანიებთან შეხვედრა, ასევე სისტემატიურად ხორციელდებოდა ფეისბუქ ჯგუფებში დასაქმებასთან დაკავშირებით ინფორმაციის განთავსება, კერძოდ აქტიური ვაკანსიების გაზიარება პროფესიული პოროგრამების მიხედვით.კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ხდებოდა არსებული პროფესიული პროგრამების პერიოდული რეკლამირება. მათ შორის ფასიანი რეკლამის გაშვება facebookგვერდზე.

შეიქმნა კოლეჯის განახლებული ლოგო, რომელიც ჩაეშვა დასამტკიცებლად. არასამთავრობო ორგანიზაცია განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა
(EDEC)-ის დახმარებით კოლეჯი ამაგის სტუდენტებს ჩაუტარა შემდეგი სახის ტრენინგი CV-ის სწორი შედგენა, გასაუბრების ტექნიკები, სამოტივაციო წერილი, უნარებისიდენტიფიცირება.ტრენინგთან ერთად კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა ადგილზე გაიარესინდივიდუალური პროფილირება.ყველა ადგილზე დამსწრე პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად დარეგისტრირდა დამსაქმებელთა ბაზაში, რაც სამომავლოდგაზრდის პროფესიული სტუდენტებისთვის დასაქმების შანსებს.
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2021 წლის ფინანსურ ანგარიშს რაც შეეხება პროფესიული სტუდენტების ვაუჩერით დაფინანსებამ შეადგინა: 624310ლარი, პროფესიული სტუდენტებისსწავლის გადასახადით მიღებული შემოსავალი: 21200 ლარი, სულ 2022წლის შემოსავალმა შეადგინა: 645510 ლარი. აღნიშნული შემოსავლიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინსტრაციის დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა: 544537ლარი. საპენსიო ფონდში გადარიცხული იყო 4282 ლარი. მივლინების ხარჯმა შეადგინა:105ლარი. პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებაზე 2022 წლის მანძილზე ხელშეკრულებების საფუძველზე გადირიცხა 16781 ლარი.სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა: 8730ლ.(შეძენილია კომპიუტერები 7040 ლ, ფარდა-ჟალუზები1100 ლ: შეიცვალა განათება 440ლ,კაბინეტის აბრები-150ლ). მოდულური პროგრამებისათვის მასალა-ნედლეულის შესაძენად: 3854ლ. მოდულური პროგრამების აღჭურვილობის შესაძენად გაიხარჯა 5515 ლ. შეძენილია წიგნები: 651ლარი. პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის ტრენინგების 7800 ლ.კულტურულ,სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა: 2625ლ. საკანცელარიო ნივთების შესაძენად გაიხარჯა 6000 ლარი. კერძო კოლეჯების ასოციაციაში გადარიცხა საწევრო 2022წლის მანძილზე 650ლარი. ეფლოუ 1298 ლ, სულ:1898. რეკლამის ხარჯმა შეადგინა: 1206 ლ. 2022 წლის იჯარის ხარჯი იყო: 28000 ლ
2022 წლის ინტერნეტის და საიტის ხარჯი: 3275კოლეჯის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების დამზადების: 2730 სხვადასხვა ხარჯი: 5062 სულ ხარჯებმა შეადგინა: 643051 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას ითქვას რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 2022 წლის საქმიანობა ჩაითვალოს დადებითად.

პატივისცემით,

დირექტორი, რუსუდან სუხიშვილი